გგანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

„პოლიტიკის მეცნიერების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა
სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი: 2022 წლის 25 თებერვალი

დასკვნის წარდგენის თარიღი: 2022 წლის 2 მაისი

თბილისი
2022 წელი

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 204861970 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | პოლიტიკის მეცნიერება |
| უმაღლესი განათლების საფეხური | დოქტორანტურა |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2] | პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი | 0312 Political Sciences and Civics / პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში) | |
| სწავლების ენა | ქართული |
| ECTS კრედიტების რაოდენობა | 60 ECTS |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი) | აკრედიტებული |

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ივანნა მაჩიტიძე, ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ირაკლი მანველიძე, სსიპ-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამა შემუშავდა 2011 წელს და განახლდა 2021 წელს. პროგრამის განახლება შესაძლებელია ყოველი სასწავლო წლის დაწყებამდე, პროგრამისა და სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამის წარმატებით დასრულების შემთხვევაში კურსდამთავრებულს ენიჭება პოლიტიკის მეცნიერების დოქტორის კვალიფიკაცია (0312).

გამომდინარე იქიდან, რომ ინტერდისციპლინური სადოქტორო პროგრამა დაიშალა და მასში შემავალი თითოეული მიმართულება ჩამოყალიბდა ცალკეულ პროგრამად, განახლებული კონცეფციის მიხედვით, პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამა ფარავს დისციპლინის ოთხ ქვედარგს: პოლიტიკის ფილოსოფია (მეთოდოლოგიური საკითხების ჩათვლით), შედარებითი პოლიტიკა, საჯარო პოლიტიკა, საერთაშორისო ურთიერთობები.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "პოლიტიკის მეცნიერების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოთან შესაბამისობის შემოწმება განხორციელდა არაგეგმიური მონიტორინგის გზით დისტანციურ ფორმატში. მონიტორინგის ჯგუფი შედგება 2 ექსპერტისაგან, ივანნა მაჩიტიძე (თავმჯდომარე) - ა(ა)იპ მიუ ვიჟენ უნივერსიტეტი და ირაკლი მანველიდძე (წევრი) - სსიპ-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

არაგეგმიური მონიტორინგის განხორციელების მიზნით გაზიარებული დოკუმენტაცია მოიცავს როგორც დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას, რომლის საფუძველზეც განხორციელდა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან შესაბამისობის შეფასება, ასევე ცენტრის მიერ მოწოდებულ საორგანიზაციო მასალებს. შესაბამისად, შეფასდა I სტანდარტი, II სტანდარტი და IV სტანდარტი. ექსპერტთა ჯგუფმა დამატებით გამოითხოვა პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების დამადასტურებელი დოკუმენტაცია და პერსონალის კვალიფიკაციის ასამაღლებელი ღონისძიებების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

- საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

1.1, 1.2., 2.1, 2.2., 2.3., 2.4, 2.5, 2.6, 4.1, 4.2, 4.3., 4.4. - შესაბამისობაშია აკრედიტაციის მოთხოვნებთან

- რეკომენდაციები

- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

2.2. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- სასურველია, პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამის სტრუქტურაში დაზუსტდეს ინფორმაცია თავისუფალი კრედიტების მოცულობის და გამოყენების შესახებ.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

- მისასალმებელია, რომ პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს საერთაშორისო თანამშრომლობას, რასაც კრიტიკული მნიშვნელობა აქვს დოქტორანტის მიერ მაღალი ხარსხის კვლევის

მომზადებისა და ახალი ცოდნის შექმნისათვის. აქედან გამომდინარე, დოქტორანტების ჩართულობა თანამშრომლობის პროექტებში მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებთან უზრუნველყოფს მათი გამოცდილების სისტემატიურ გაზიარებას და გამოყენებას. განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ პროცესში საერთაშორისო ექსპერტთა საბჭოს საკვანძო როლი.

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

## პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**

   პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1 პროგრამის მიზნები |
|---|
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>როგორც დადგინდა დაწესებულების მიერ წარდგენელი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია. პროგრამიდან ირკვევა, რომ იგი მიმართულია დარგის უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნისა და მაღალი დარგობრივი კომპეტენციის მქონე, მოტივირებული და პასუხისმგებლიანი მკვლევარის მომზადებაზე.<br>აღსანიშნავია, რომ პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამა მიზნად ისახავს ისეთი კურსდამთავრებულის მომზადებას, რომელიც შეძლებს პოლიტიკის ფილოსოფიის (მეთოდოლოგიური საკითხების ჩათვლით), შედარებითი პოლიტიკის, საჯარო პოლიტიკის, და/ან საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით მაღალი ხარისხის კვლევების განხორციელებას დარგში აკუმულირებული სამეცნიერო ცოდნის კრიტიკულად გააზრებისა და რელევანტური თეორიული და მეთოდოლოგიური მიდგომების გამოყენებით, საჭიროების შემთხვევაში, ინტერდისციპლინურ ჭრილში, რითაც წვლილს შეიტანს დარგის განვითარებასა და ახალი ცოდნის შექმნაში.<br>ამ მიზნით, მისასალმებელია, რომ პროგრამა ახდენს დოქტორანტის ინტეგრირებას აკადემიურ სივრცეში დოქტორანტების სწავლების პროცესში ჩართულობითა და საერთაშორისო დონეზე კვლევის შედეგების გაზიარებით.<br>რაც შეეხება დაწესებულების მიერ ხედვას, პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამა შექმნილი ინტელექტუალური რესურსის საფუძველზე ასევე ხელს უწყობს მის განხორციელებას - პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამა სრულ |

| |
|---|
| შესაბამისობაშია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიასთან და ეფუძნება შემდეგ ძირითად პრინციპებს: კვლევისა და სწავლების ერთიანობა, ლიბერალური მიდგომა; გლობალურის და ლოკალურის შერწყმა.<br>ხაზგასასმელია, რომ პროგრამის მიზნების შემუშავების დროს გათვალისწინებულია საუკეთესო გამოცდილება, მოპოვებულია პროგრამის აკადემიური პერსონალის, ადმინისტრაციის წარმომადგენლების და დოქტორანტების საერთაშორისო თანამშრომობაში აქტიური ჩართვის მეშვეობით. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი თავად არის სხვადასხვა საერთაშორისო პროექტების მონაწილე რაც ხელს შეუწყობს დოქტორანტების კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციას. პროგრამა შემუშავებულია საერთაშორისო პარტნიორების რჩევებისა და გამოცდილების გათვალისწინებით (არიზონას სახელმწიფო უნივერსიტეტის, ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტის მონაწილეობით.<br>პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამა გამოირჩევა ჩამოყალიბებული კონცეფტუალური ხედვით, მისი განხორცილებისთვის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალით და ფარავს მის ყველა ქვე-მიმართულებას, რომელიც პირველ რიგში პოლიტიკურ მეცნიერებებს უკავშირდება. შესაბამისად, აღნიშნული პროგრამის მიზნები აკმაყოფილებს მისანიჭებელი კვალიფიკაციის მოთხვონებს და საფუძველს უქმნის პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>o პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამა;<br>o თვითშეფასების ანგარიში;<br>o ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი # 10;<br>o უსდ-ს ვებ გვერდი - მისია, ხედვა, ღირებულებები - https://iliauni.edu.ge/ge/iliauni/mission |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადასტურდა პროგრამის სწავლის შედეგების გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური ხასიათი. ისინი შეესაბამება პროგრამის მიზნებს და მოიცავს შინაარსით გათვალისწინებულ *ცოდნას, უნარებს და პასუხისმგებლობასა/ავტონომიურობას,* რომელიც უნდა უზრუნველყოფილი იქნას სადოქტორო პროგრამის მიერ პოლიტიკის მეცნიერებაში ახალი ცოდნის შექმნის მიზნით. ამდენად, *ცოდნა-გაცნობიერების* ნაწილში აქცენტი კეთდება დარგის უახლესი თეორიებისა და მიდგომების, პოლიტიკის მეცნიერების ინტერდისციპლინური ხასიათის სისტემატიურ და კრიტიკულ შეფასებაზე. პროგრამა უზრუნველყოფს კურსდამთავრებულის მიერ დარგში არსებული ცოდნის გაფართოების აუცილებლობის მნიშვნელობის და განვითარების თაობაზე მსჯელობის არგუმენტირებულ ჩამოყალიბებას არსებულ დარგობრივ ლიტერატურასა და კომპლექსურ, წინააღმდეგობრივ იდეების კრიტიკული ანალიზის მეშვეობით.

პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამა აღჭურვის პოლიტიკის მეცნიერების დარგში შემდეგი უნარებით: კვლევას დაგეგმვა და განხორციელება სფეროსთვის რელევანტური თანამედროვე კვლევის მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით; ახალი ცოდნის გაზიარება ზეპირი და წერილობითი ფორმით, ადგილობრივ თუ საერთაშორისო დონეზე გამართულ თემატურ დისკუსიებში, მათ შორის, კვლევის შედეგების წარმოდგენა საერთაშორისო რეფერირებადი პუბლიკაციის სახით; სააუდიტორიო სწავლების უნარის და გამოცდილების მიღება და სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და მიდგომების გამოყენება.

*ავტონომიურობის/პასუხისმგებლობის ნაწილში* პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია პოლიტიკის მეცნიერების დარგის კვლევითი პროექტების დამოუკიდებლად, აკადემიური და პროფესიული კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით დაგეგმვა და

განხორციელება, ასევე, ახალი ცოდნის შექმნის მიზნით ორიგინალური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვისა და განხორციელებისას (საჭიროების შემთხვევაში, ინტერდისციპლინურ ჭრილში) კვლევის ეთიკის ნორმების დაცვა.

დოკუმენტაციის ანალიზის შედეგად ნათლად ჩანს პროგრამის შემუშავებაში როგორც პროგრამის ხელმძღვანელების, ასევე აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჩართულობა. პროგრამის დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ სავალდებულო კომპონენტის ფარგლებში ცოდნის და უნარების მიღწევის შეფასების პროცესში გამოიყენება სამიზნე ნიშნულები შემდეგი კომპონენტების შემთხვევაში: ასისტირება (დოქტორანტების 70%-ს შესრულებული უნდა ჰქონდეს ასისტირების კომპონენტი) - სამიზნე ნიშნულის შესრულება ფასდება მე-2 სემესტრის შემდგომ; სადოქტორო კოლოქვიუმი (დოქტორანტების 70%-ის კოლოქვიუმში მონაწილეობის მიღება) - შესრულების შეფასება ხდება მე-4 სემესტრის შემდგომ; სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნება საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში - დოქტორანტების 80% - მე-8 სემესტრის შემდგომ; სადისერტაციო ნაშორმის შეფასება - დოქტორანტების 80%-ს შემთხვევაში ნაშრომს მინიმალური შეფასება - cum laude. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგები სრულიად შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მოთხვოზნებს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი # 10;
- უსდ-ს ვებ გვერდი - მისია, ხედვა, ღირებულებები, https://iliauni.edu.ge/ge/iliauni/mission

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

### პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
| --- | --- | --- | --- | --- |
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | X | | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

### 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

| |
|---|
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამის დოკუმენტის მიხედვით, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა განისაზღვრება უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონით და რეგულირდება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებით.<br>პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამაზე მიღების პირობებზე ინფორმაცია განთავსებულია როგორც პროგრამის აღწერილობაში და პროგრამის ვებ გვერდზე, ასევე, თვითშეფასების ანგარიშში. დოქტორანტურაში მიღება ცხადდება შემოდგომის სემესტრში. აღნიშნული ინფორმაცია საჯაროა და ხელმისაწვდომია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურის შესახებ ვებ გვერდზე. *პროგრამაზე დაშვების წინაპირობების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოიპოვება პროგრამის აღწერილობაში, კერძოდ, ჩამოთვლილია შემდეგი დაშვების პირობები:* მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი; წარმატებით ჩაბარებული შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა ინგლისურ ენაში, მინიმუმ B2-დონეზე ფლობის დადასტურების მიზნით, ან ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატი (მინიმუმ B2 დონის შესაბამისი), ან ინგლისურენოვანი საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დიპლომი; სადოქტორო კვლევითი განაცხადი; ზეპირი გამოცდა.<br>უცხოეთში მიღებული განათლების დამადასტურებელი დიპლომის აღიარება უნდა იყოს დადასტურებული სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ. ხაზგასასმელია, რომ დეტალური ინფორმაცია პროგრამაზე მიღების პირობების და კრიტერიუმების შესახებ მოცემულია დოკუმენტში „სადოქტორო პროგრამაზე მიღების პროცედურები და შეფასების სისტემა“. მიღების შესახებ ინფორმაცია თავსდება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდზე www.iliauni.edu.ge.<br>დოქტორანტურაში სწავლის უფლება შეიძლება მიენიჭოს უცხოეთის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს ,,უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად. კანდიდატმა გათვალისწინებული დოკუმენტაციის გარდა უნდა წარმოადგინოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის აღიარება. |

| |
|---|
| ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს სადოქტრო პროგრამის მოთხვონების სპეციფიკას და მაღალი კონკურენციის პირობებში უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა პროგრამაზე სასწავლებლად ჩართვას. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:**<br>o პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამა;<br>o თვითშეფასების ანგარიში;<br>o ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება (ხელმისაწვდომია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ გვერდზე);<br>o დოქტორანტურა - ვებ-გვერდი (https://iliauni.edu.ge/ge/study/phd);<br>o კვლევითი განაცხადის ფორმა;<br>o ზეპირი გასაუბრების ფორმა. |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი |
|---|
| პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. |

## სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამა ფარავს დისციპლინის ოთხ ქვედარგს: პოლიტიკის ფილოსოფია (მეთოდოლოგიური საკითხების ჩათვლით), შედარებითი პოლიტიკა, საჯარო პოლიტიკა, საერთაშორისო ურთიერთობები.

პროგრამის მოცულობა შეადგენს 60 კრედიტს. მათ შორის, სავალდებულო - 42 კრედიტი და არჩევითი - 18 კრედიტი, საიდანაც დოქტორანტი იღებს კურსებს თავისი კვლევითი ინტერესების გათვალისწინებით. პროგრამაში შევამავალი კომპონენტების შემთხვევაში წინაპირობები ადეკვატურადაა განსაზღვრული. მაგალითად, სწავლების ასისტირების წინაპირობაა „კურიკულუმის განვითარება და სწავლებისა და შეფასების სტრატეგიები უმაღლეს განათლებაში "; კვლევის ასისტირების წინაპირობაა პროსპექტუსის დაცვა. სადისერტაციო ნაშრომის შემთხვევაში წინაპირობად განსაზღვრულია სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო კომპონენტები.

პროგრამის განხორციელებაში ჩართულია მრავალფეროვანი კვლევითი და საგანმანათლებლო ინტერესების მქონე აკადემიური პერსონალი, რომელსაც აქვს ხელშესახები საერთაშორისო გამოცდილება როგორც სწავლების, ასევე კვლევის მიმართულებით. პროგრამა ახდენს დოქტორანტების ინტეგრაციას აკადემიურ სივრცეში იდეების, მიღწეული შედეგების გაზიარების, აკადემიურ პერსონალთან მჭიდრო თანამშრომლობისა და პროფესიული განვითარების მრავალფეროვანი შესაძლებლობების შეთავაზების გზით.

ხაზგასასმელია, რომ პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამა მაქსიმალურად არის ორიენტირებული დოქტორანტებისთვის კვლევის პროცესში ინდივიდუალური მიდგომების გამოყენების შესაძლებლობების შეთავაზებაზე. როგორც გაირკვა ხელმისაწვდომი დოკუმენტაციიდან, ინტერდისციპლინური სადოქტორო პროგრამა დაშლის შემდგომ მასში შემავალი თითოეული მიმართულება ჩამოყალიბდა ცალკეულ პროგრამად.

ასევე, თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამაში დაკონკრეტდა გარკვეული საკითხები, მათ შორის, განისაზღვრა კვლევის სფეროები. აღსანიშნავია, რომ პროგრამის ფარგლებში, დოქტორანტის კვლევის პროგრესზე უკეთ დაკვირვებისა და მისთვის თანმიმდევრული უკუკავშირის მიღების მიზნით, პროგრამის სტრუქტურაში დამატებულია კოლოკვიუმების სერია, რაც წარმოადგენს საუკეთესო პრაქტიკას მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში. პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამა შემუშავებულია საერთაშორისო პარტნიორების რჩევებისა და

გამოცდილების გათვალისწინებით (არიზონას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტი) და განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს საერთაშორისო თანამშრომლობას.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში დოქტორანტურაში სწავლის ხანგრძლივობა არანაკლებ 3 და არა უმეტეს 5 წელია, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული ინდივიდუალური პროგრამით. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი ვერ ასრულებს პროგრამის მოთხოვნებს 5 წლის დასრულების შემდეგ, მას უფორმდება დამატებითი ერთწლიანი ხელშეკრულება შესაბამისი პირობების გათვალისწინებით. პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამის სტრუქტურა შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას და უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს ოქმი # 10;
- პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამა;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველია, პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამის სტრუქტურაში დაზუსტდეს ინფორმაცია თავისუფალი კრედიტების მოცულობის და გამოყენების შესახებ.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის

| |
|---|
| სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>როგორც ირკვევა არაგეგმიური მონიტორინგის მიზნით წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან, პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამის სასწავლო კურსები (სავალდებულო/ არჩევითი) და კვლევითი კომპონენტი შეესაბამება პროგრამის მიზანს და სწავლის შედეგებს. ხაზგასასმელია, რომ პროგრამაში სასწავლო კურსების ერთობლიობა ეფექტიანად უზრუნველყოს დოქტორანტის მომზადებას პროგრამის კვლევითი კომპონენტის ათვისებისთვის, განსაკუთრებით, უახლესი და აქტუალური ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე ცოდნის საზღვრების გაფართოებასა და ახალი მეცნიერული იდეების გენერირებას, რომელიც ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას იძლევა. აღსანიშნავია, რომ პროგრამით გათვალისწინებული ყველა კომპონენტის საკრედიტო მოცულობა უზრუნველყოფს თითოეული კურსით გათვალისწინებული თემების დაუფლებას.<br>სადოქტორო სემინარების ფარგლებში, პირველი წლის განმავლობაში დოქტორანტები ხელმძღვანელთან ერთად მუშაობენ პროსპექტუსზე. დასრულებულ პროსპექტუსს დოქტორანტი იცავს დარგობრივი კომისიის წინაშე სწავლების პირველი წლის ბოლოს.<br>ასისტირება ხელს უწყობს აკადემიური კურსის კომპონენტის ან სალექციო/სასემინარო კურსს დამოუკიდებლად განხორციელებას. სადოქტორო კოლოკვიუმების სერია უზრუნველყოფს კვლევითი პროცესის სისტემატიზაციას და მის შედეგზე ორიენტირებულობას. მისი მიზანია კვლევასთან დაკავშირებული ავტონომიურობისა და კომუნიკაციის უნარების განვითარება.<br>პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამის კვლევითი კომპონენტი წარმოდგენილია სადისერტაციო ნაშრომით, რომლის მიზანია, პოლიტიკის მეცნიერების ერთ-ერთი მიმართულებით საერთაშორისო, რეგიონული, ეროვნული ან ლოკალური პრობლემების გამოსაკვლევად მაღალი ხარისხის კვლევის დამოუკიდებლად განხორცილება დარგში აკუმულირებული სამეცნიერო ცოდნის კრიტიკულად გააზრებისა და რელევანტური თეორიული და მეთოდოლოგიური მიდგომების გამოყენებით, საჭიროების შემთხვევაში, ინტერდისციპლინურ ჭრილში.<br>მისასალმებელია, რომ პროგრამა სთავაზობს დოქტორანტს არჩევითი სასწავლო კურსების ფართო არჩევანს, რომლებიც ფარავს პოლიტიკის მეცნიერების ძირითად ქვე-დარგებს, როგორიცაა საერთაშორისო ურთიერთობები, შედარებითი პოლიტიკა, საჯარო პოლიტიკის ანალიზი და ა.შ. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, |

| |
|---|
| რომ პროგრამით გათვალისწინებული ყველა კომპონენტი, როგორც სასწავლო, ისე კვლევითი უზრუნველყოფს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მოთხოვნებს. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>o პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამა;<br>o თვითშეფასების ანგარიში;<br>o სილაბუსები |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| ### 2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება |
|---|
| პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>წარმოდგენილი მასალებიდან ირკვევა, რომ ს(ს)იპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამა საფეხურისა და სწავლის შედეგების შესაბამისად მიმართულია სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო და ტრანსფერული უნარების ჩამოყალიბებისკენ, რაც უზრუნველყოფს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მოთხვონების დაკმაყოფილებას. ყოველივე კარგად ჩანს სასწავლო კურსებსა და მისი სწავლების მეთოდებში. მაგალითად, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ისეთი სავალდებულო კომპონენტების ფარგლებში, როგორიცაა სადოქტორო სემინარი 1 და 2, აქცენტი კეთდება სტუდენტის მიერ საკვლევი პრობლემის/საკითხის ჩამოყალიბებაზე, |

მისი აქტუალურობის დასაბუთებაზე რელევანტურ, უახლეს და სანდო ლიტერატურაზე და წყაროებზე დაყრდნობით. შემდგომ სტუდენტი ამზადებს პროსპექტუსის მონახაზს, რაც ხელს უწყობს პროსპექტუსის დასრულებული დოკუმენტის წარდგენას ფაკულტეტზე.

რაც შეეხება პროფესორის ასისტირებას, ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია პრაქტიკული უნარების განვითარება. კურსის ძირითადი მეთოდოლოგიური მიდგომაა კვლევასა და პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება. პოლიტიკის მეცნიერების კვლევის მეთოდების სასწავლო კურსი ხელს უწყობს სტუდენტებს გააცნოს თანამედროვე პოლიტიკის მეცნიერებაში არსებული სამეცნიერო-კვლევითი სკოლები, თანამედროვე მიდგომები და ასევე, მათი სამეცნიერო-ფილოსოფიური საფუძვლები და უახლესი დებატები.

სადოქტორო პროგრამის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მონაწილეობა სამეცნიერო კონფერენციებსა ნამდვილად იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ პროგრამა ზრუნავს სტუდენტთა კვლევითი, ანალიტიკური, პრაქტიკული და შემოქმედებითი უნარების განვითარებაზე. მისასალმებელია, რომ პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს საერთაშორისო თანამშრომლობას, რასაც კრიტიკული როლი აქვს დოქტორანტის მიერ მაღალი ხარსხის კვლევის მომზადებისა და ახალი ცოდნის შექმნისთვის. აქედან გამომდინარე, დოქტორანტების ჩართულობა თანამშრომლობის პროექტებში მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებთან უზრუნველყოფს მათი გამოცდილების სისტემატიურ გაზიარებას და გამოყენებას. ხაზგასასმელია, რომ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი თავად არის სხვადასხვა საერთაშორისო ქსელებისა თუ პროექტების მონაწილე და შესაბამისად, ხელს შეუწყობს დოქტორანტების კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციას. აქვე აღსანიშნავია სავალდებულო სასწავლო კურსის, წერა პუბლიკაციის გამოქვეყნებისთვის, საკვანძო მნიშვნელობა მაღალი ხარისხის კვლევითი ნაშრომის მომზადებისათვის და მისი შემდგომ გამოქვეყნებისათვის საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში. სასწავლო კურსის წინაპირობაა დოქტორანტის მიერ პროსპექტუსის დაცვაა.

განსაკუთრებით მისასალმებელია პროგრამის განვითარების ხელშეწყობა საერთაშორისო ექსპერტთა საბჭოს მხრიდან, რომლის ფუნქციები შემდეგნაირად გამოიყურება: პროგრამაში ჩართული დოქტორანტების თანახელმძღვანელობა; ერთობლივი კვლევითი პროექტების განვითარებაში დახმარება; კვლევითი უნარების განვითარება სხვადასხვა ვორკშოფებით და კურსებით; დოქტორანტების ხელშეწყობა სამეცნიერო ნაშრომების მომზადებისა და საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში გამოქვეყნების თვალსაზრისით; სადოქტორო კურიკულუმის განვითარებას საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, გარე რეფერირება; პროგრამის

განმახორციელებელი აკადემიური პერსონალისა და მასში ჩართული დოქტორანტების გლობალურ სამეცნიერო ქსელებში მონაწილეობის ხელშეწყობა.

